

შპს "ბიარ ჯორჯია" (ს/კ 206152688)

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ზოგადი ინფორმაცია

ბიარ ჯორჯია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2004 წლის 28 ივლისს. კომპანიის იურდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი თევედორე მღვდლის ქ. N 55. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა იმპორტული ლუდით ვაჭრობა.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება/ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა ღირებულების დადგენა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა: 5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები: 10-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო - მატერიალური ფასულობების ასახვა ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისთვის

საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება-ზარალი უწყისში.

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსე ღირებულებიდან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქტივების რეალიზაცა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი განხორციელებისას.

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	4	226956	253222
სავაჭრო მოთხოვნები	5	788048	704084
გადახდილი ავანსები		285105	517341
		1300109	1474647
მარაგები			
სასაქონლო მარაგი	6	2396237	2197979
საივენსტიციო ქონება	7	924577	924577
სხვა მიმდინარე აქტივები	6	181482	179706
არამატერიალური აქტივები		647	1220
ძირითადი საშუალებები		807635	593508
მთლიანი აქტივები		5,610,687	5,371,637
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	8	587,342	379,461
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	9	20,874	39,836
საგადასახადო ვალდებულება	10		14,641
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	1,878,617	1,692,885
იჯარის გადასახადი		0	0
ვალდებულებები სულ		2,486,833	2,126,823

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		2,949,107	3,070,067
გადაფასების რეზერვი		172,747	172,747
სულ საკუთარი კაპიტალი		3,123,854	3,244,814
სულ კაპიტალი დავალდებულებები		5,610,687	5,371,637

საქმიანობის შედეგები			
	შენიშვნა	2020	2019
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვებიდან	12	5,980,081	7,337,840
მომსახურების გაწევიდან	12	67,935	49,754
სულ ნეტო ამონაგები		6,048,016	7,387,594
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება			
საწყისი მარაგი		2,197,979	1,828,951
მარაგის შესყიდვა		5,007,799	5,918,108
საბოლოო მარაგი		2,396,237	2,197,979
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		4,809,541	5,549,080
საერთო მოგება		1,238,475	1,838,514

სხვა შემოსავლები	13	487,533	174,508
დასაქმებულთა ანაზღაურება		(520,442)	(611,924)
ცვეთა და ამორტიზაცია		(71,054)	(87,238)
საპროცენტო ხარჯი		(170,242)	(90,945)
იჯარის ხარჯი		(136,308)	(137,175)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(393,784)	(602,017)
სულ საოპერაციო ხარჯები		(804,297)	(1,354,791)
საოპერაციო მოგება		434,178	483,723
წმინდა შემოსავალი სავალუტო ოპერაციიდან		(500,186)	(80,188)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		(66,008)	403,535
მოგების გადასახადი		(15,458)	(35,029)
წმინდა მოგება		(81,466)	368,506
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(81,466)	368,506
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			44494
სხვა სრული შემოსავალი		0	44494
მთლიანი სრული შემოსავალი	15	(81,466)	413,000

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		3244814	2932335
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		(39494.00)	(100521.00)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(81,466)	413,000
კაპიტალის სხვა ცვლელბები	16		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,123,854.00	3,244,814.00

შენიშვნა: 3

2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 10).

	მანქანა-დანადგარები	შენობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2019	1,170,034	32,512	68,604	54,875	6,818	2,935	1,335,778
შემოსვლა	78,603	157,834	938	47,057			284,432
გადაფასება							-
გასვლა							-
31 დეკემბერი 2020	1,248,637	190,346	69,542	101,932	6,818	2,935	1,620,210
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2019	(681,197)	(1,430)	(22,122)	(30,104)	(5,598)	(424)	(740,875)
პერიოდის ცვეთა	(61,262)	(244)	(5,540)	(3,288)	(573)	(146)	(71,053)
გასვლა							-
31 დეკემბერი 2020	(742,459)	(1,674)	(27,662)	(33,392)	(6,171)	(570)	(811,928)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2019	488,837	31,082	46,482	24,771	1,220	2,511	594,903
31 დეკემბერი 2020	506,178	188,672	41,880	68,540	647	2,365	808,282

კომპანია იყენებს შეფასების თვითღირებულების მეთოდს ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
--	------	------

ნაღდი ფული სალაროში	153,255	153,178
ფული საბანკო ანგარიშებზე	73,701	100,044
სულ	226,956	253,222

შემოწმება 0 0

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	788,049	704,083
გადახდილი ავანსები	285,105	517,340
სულ	1,073,154	1,221,423

შემოწმება

შენიშვნა 6

მარაგები

	2020	2019
სარეაქტივო ნედლეული და მასალები	2,396,237	2,197,979
დამხმარე მასალა და მცირეფასიანი ინვენტარი	181,482	179,706
სულ	2,577,719	2,377,685

შემოწმება

შენიშვნა 7

საინვესტიციო ქონება

რეალური ღირებულება 1.01.2020 924,577

მოგება/(ზარალი) რეალური
ღირებულების ცვლილებიდან

რეალური ღირებულება 31.12.2020	924,577
-------------------------------	---------

შემოწმება 0 0

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	587,342	379,461
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	20,874	39,836
იჯარის გადასახადი		
სულ	608,216	419,297

შემოწმება

შენიშვნა 9

საგადასახადო ვალდებულებები

	2020	2019
გადასახდელი მოგების გადასახადი	(2,997)	3,876
საშემოსავლო გადასახადები	(5,403)	14,977
დღგ	(59,817)	(26,405)
ქონების გადასახადი	21,022	20,296
დაგროვებითი პენსიის ფონდი	1,369	1,897
სულ	(45,826)	14,641

შემოწმება

შენიშვნა 10

სესხები

	2020	2019
გრძელვადიანი საბანკო სესხები	1,878,617	1,692,885
სულ სესხები	1,878,617	1,692,885

შემოწმება 0 0

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2022 წლის 24 აპრილი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4.8 %. საწარმოს დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად რომელთა ღირებულება აღემატება 100 000 ლარს. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 11

ამონაგები

	2020	2019
საქონლის გაყიდვა	5,980,081	7,337,840
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	67,935	49,754
სულ	6,048,016	7,387,594

შემოწმება

შენიშვნა 12

სხვა შემოსავალი

	2020	2019
უსასყიდლოდ მიღებული შემოსავალი	127,793	174,508
სულ	127,793	174,508

შემოწმება

შენიშვნა 13

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2020	2019
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(500,186)	(80,188)
სულ	(500,186)	(80,188)

შემოწმება

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული სესხებისთვის ანარიცხები არ აღიარებულა (2020 წელი 0
ლარი).

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	86,385	76,721
სულ	86,385	76,721

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2021 წლის 27
მარტს.

შემოწმება

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული სესხებისთვის ანარიცხები არ აღიარებულა (2020 წელი 0 ლარი).

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	86,385	76,721
სულ	86,385	76,721

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2021 წლის 27 მარტს.

